საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბეგობის არწივი

ბეგობის არწივი (Aquila heliaca), ფრინველი შავარდნისნაირთა რიგისა. ფერად მუქი მურაა, თხემის უკანა ნაწილი, კეფა, „წარბები“ მოჩალისფერო, ფეხები ყვითელი, ნისკარტი შავი აქვს. სხეულის საერთო სიგრძე 72–84 სმ აღწევს, ფრთების შლილი 2 მ-მდე, მასა 3 კგ-მდე. გავრცელებულია სამხრ. ევროპაში წინა აზიამდე, სამხრ. ციმბირში, მონღოლეთში, ჩრდ.-დას. ინდოეთში.

საქართველოში მობინადრეა, გვხვდება ერთეული წყვილების სახით. ბინადრობს ველებსა და ტყე-ველებში, ბუდეს იკეთებს ხეზე, აპრილში დედალი დებს 2–3 კვერცხს, კრუხობა 43 დღ-ღ გრძელდება. იკვებება მღრღნელებით, სხვა წვრილი ძუძუმწოვრებით, ფრინველებით, მძორით. მეტად მცირერიცხოვანია. შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში“.

რ. ჟორდანია